



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის  
ოქმი N6**

ქ. ლანჩხუთი

31. 03. 2017 წელი

**ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი უკეთესი მომავლისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე. საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

„სპორტული ცენტრის“ დირექტორი გურამ იმნაიშვილი, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისის“ დირექტორის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს ბიუროს მიერ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეიტანა ცვლილება, რომლის თანახმადაც, 2017 წლის 1 აპრილის ნაცვლად, 1 ოქტობრამდე მუნიციპალიტეტებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ნორმატიული აქტები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება მოხდეს პროექტების დამატებით საფუძვლიანად შესწავლა, შეჯერება და ერთ დოკუმენტად სრულყოფა. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს საკითხის მიმართ გაგრძელდეს ადმინისტრაციული წარმოება და დღის წესრიგიდან ამოეღოთ სკოლამდელ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დაკავშირებული ხუთივე საკითხი. მისი თქმით, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ მომზადებული ალტერნატიული პროექტი გახლავთ სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანონთან. საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებზე გაირკვა, რომ დეპუტატების მხრიდან ძირითადად სწორედ ამ პროექტის მიმართ იყო მხარდაჭერა გამოხატული, რომლის შემუშავებისთვის მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას და მის თავმჯდომარეს, ია ჩხაიძეს. მან იქვე აღნიშნა, რომ ასევე მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია ორი ახალი პროექტი, რომელიც დამატებული აქვს დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/*

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი რ. ლაშხია/*

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

*/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/*

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/*

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ბ. ტაბიძე/*

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი ა. სარიშვილი/*

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი რ. ბიწაძე/*

13. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

*/მომხსენებელი გ. ფაცურია/*

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს გასახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

*/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/*

15. სხვადასხვა:

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს:**

**კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.**

**მომხრე 23 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველ საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დატკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას წარუდგინა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ „საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური წარმოების ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის N73 დადგენილებით დამტკიცდა ტექნიკური რეგლამენტი. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმები ასევე დაევალა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებს 2016 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყონ ღონისძიებების გატარება დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ხოლო ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შერჩევითი კონტროლის განხორციელება უნდა დაიწყოს 2016 წლის 15 იანვრიდან.

ასევე, შეტანილ იქნა ცვლილება „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში „ტექნიკური რეგლამენტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ“. შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების შეუსრულებლობა გამოიწვევს ფიზიკური პირების და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების დაჯარიმებას 50 ლარის, ხოლო იურიდიული პირების - 100 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირის - 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის - 500 ლარით დაჯარიმებას. ასევე, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისი საქმიანობით არ იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გამოიწვევს მათ დაჯარიმებას შესაბამისად 500 და 1000 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილება ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ -ის დებულებაში. ამასთან, ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრ“-ს ლანჩუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 მარტის N62 ბრძანების საფუძველზე დაევალა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება და კონტროლი. აქედან გამომდინარე, გასულ წელს ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ პირველ რიგში ჩატარდა მონიტორინგი. მოხდა იმ დაწესებულებების აღრიცხვა, რომლებიც არიან რეგისტრირებული და ეწვეიან აღნიშნულ საქმიანობას. ასეთი დაწესებულება სულ გახლდათ 11, ხოლო დღევანდელი მონაცემებით ფუნქციონირებს - 9. ყველა მათგანს მიეცა სათანადო რეკომენდაცია აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე. ასევე გადამოწმებულ იქნა საჯარო რეესტრში გაცემული ნებართვა მათი საქმიანობის შესახებ და გადაეცათ დოკუმენტი აღნიშნული ცვლილებების შესახებ.

დ.კ.ე.ც-ს მიერ მოწოდებული კითხვარის საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი, მოსამსახურე პერსონალი გაფრთხილებულ იქნა ტექნიკური რეგლამენტის დაცვის თაობაზე, მიეცათ გონივრული ვადა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. დაურიგდათ შესაბამისი კითხვარი - სახელმძღვანელო, რომლის შესრულებაზე დადასტურება მოხდა მათივე ხელმოწერით. აქედან გამომდინარე, კანონის შესაბამისად ა(ა)იპ - „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრ“-ს აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს შერჩევითი მონიტორინგი აღნიშნულ ობიექტებზე წლის ნებისმიერ დროს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. სანქციების გატარებისთვის აუცილებელია ა(ა)იპ -ის გადაეცეს დარღვევის აქტის დადასტურების შესაბამისი ფორმა, რომელიც გააჩნია მუნიციპალიტეტის გამგეობას. აღნიშნულ მონიტორინგს და სანქცირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ექიმი - ჰიგიენისტი ე.ჯიბლაძე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის მიღება არ უნდა მოხდეს მხოლოდ ფორმალურად, მისი შესრულება დიდ წილად განაპირობებს მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის პრევენციას. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში აუცილებელია შეიქმნას კითხვარი ან დაინერგოს სხვა რაიმე მეთოდოლოგია, რომელიც უფრო ნათელს გახდის და არ გაუჩენს მოქალაქეს ეჭვს, რომ მომსახურების პროცესში გამოყენებული იარაღები არ იქნება სტერილური. იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დაცული იქნება ყველა ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები.

ა(ა)იპ „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ** განმარტა, რომ შესაძლებელია ყველა მოქმედ სილამაზის სალონში გამოიფინოს ყველა ის მოთხოვნები, რომლის შესრულებასაც კანონი ავალდებულებს მათ. თუ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში რაიმე ხარვეზი გამოვლინდება, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ესა თუ ის დარღვევა შეიტანოს სპეციალურ ჟურნალში, რომელიც დაეხმარება შესაბამის მაკონტროლებელ სამსახურს მონიტორინგის განხორციელებაში.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ მსგავსი ტიპის დაწესებულებებმა უნდა შეიძინოს იარაღების სტერილურობის შესამოწმებელი ინდიკატორები. ასევე, იგი დაინტერესდა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივ ჯანდაცვის ცენტრს“-ს აქვს თუ არა ყველა ის პირობა შექმნილი, რომელიც აუცილებელია მონიტორინგის განხორციელებისთვის.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ** განმარტა, რომ სილამაზის სალონებს იარაღების სტერილურობის შესამოწმებელი ინდიკატორების შექმნას სამსახური ვერ აიძულებს, არამედ მათ დაავალდებულებს მხოლოდ დადგენილი ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების შესრულებას. აღნიშნული ინდიკატორების შექმნას გეგმავს სამსახური, რადგან კონტროლის განხორციელება უფრო ეფექტური გახდეს.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.**

**მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N8 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეორე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ. მან აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36<sup>2</sup> მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულების მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ, როგორც წესი ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო. მან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბესიკ ტაბიძე.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე: 26 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N25 (31.03. 2017 წელი).

**დღის წესრიგის მესამე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 130-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სამართლებრივი ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით პრემიერ-მინისტრთან არსებულმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა, თავისი კომპენტენციის ფარგლებში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 იანვრის N1 დადგენილებაზე განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის შედეგად გამოვლენილ შეუსაბამობის თაობაზე, წარმოადგინა სამართლებრივი დასკვნა, რომელიც ძირითადად შეეხება დადგენილების ტექსტში „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა კატეგორიის აღნიშვნასა და სოციალური დახმარების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის დაზუსტებას.

სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამაში („ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული ვეტერანთა კატეგორია) წარსადგენი დოკუმენტებია: - განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. “

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ- ფაქტურა და კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი; ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ (პროგრამით ისარგებლებენ 0-დან 120000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები, ხოლო აღნიშნული დოკუმენტის/ცნობის წარდგენა არ მოეთხოვება c ჰეპატიტით დაავადებულ ვეტერან ბენეფიციარებს); ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100, დედანი); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო



დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.“

მიმღე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა - განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის, საკრებულოს წევრის შუამდგომლობა, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში.

„შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული სოციალური დახმარების დასანიშნად და მისაღებად ბენეფიციარის/განმცხადებლის მიერ სავალდებულოა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფიზიკური პირის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ხოლო აღნიშნულ საბუთში ადგილის განუსაზღვრელობის შემთხვევაში განმცხადებელ/ბენეფიციარს მოეთხოვება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან შესაბამისი განცხადება - ანკეტა (ფორმა N1)-ის ასლის წარმოდგენა.“

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N9 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, რომლის მოთხოვნების შესასრულებლად გამგეობაში შეიქმნა კომისია. მას სრულყოფილი მუშაობისათვის ესაჭიროება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესი - ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ. მისი აზრით, ეს საკითხი მისაღებია დროულად, რადგან 2011 წლის შემდეგ არ მომხდარა უძრავი და მოძრავი ქონების ჩამოწერა, რომლებიც ამას ექვემდებარებიან.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 25 დეპუტატი.**

**მომხრე: 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N10 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, როლანდ ლაშხიაძემ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება განპირობებულია ორი მთავარი გარემოების გათვალისწინებით, პირველი: „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტებს დაევაღათ განახორციელონ სათანადო ღონისძიებები, რათა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების 2017 წლის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (ძირითადად ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლებში) შეადგენდეს არა უმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. მეორე: მარტის თვეში გამოცემული საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებით, რომლითაც მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელებისათვის გამოყოფილი იქნა 2 415 000 ლარი. აქედან გამომდინარე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაჩქარდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პარამეტრების შესაბამისობაში მოყვანა. მისი თქმით, უნდა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების შემცირება. კერძოდ: მუნიციპალიტეტის საკრებულოში - 41 000 ლარით, აქედან - 20 000 ლარით სახელფასე ფონდის, ხოლო 21 000 ლარით - ხარჯების შემცირება. მუნიციპალიტეტის გამგეობაში - 50 000 ლარით შრომითი ანაზღაურების ფონდის შემცირება, (ა)იპ ლანჩხუთი ტექ-სერვის - 59 600 ლარით, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების - 20 000 ლარით, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა - 10 000 ლარით, ა(ა)იპ სპორტული ცენტრის - 32 200 ლარით.**

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს მთავრობის მერ მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილ იქნა 2 415 000

ლარი, რაშიც მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება შეადგენს 182 500 ლარს, აქედან 127 000 ლარი არის უზრუნველყოფილი. საკუთარი წყაროებიდან დამატებით უნდა გამოიყოს 55 000 ლარი. აღნიშნული საკითხების განხილვა საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში აქტიურად მიმდინარეობდა. საკითხის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები კი მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. მიზანშეწონილად ჩაითვა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დაფინანსების გაზრდა მოხდეს 3 500 ლარით. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის შემოღობვის მიზნით მავთულბადის შესაძენად გამოიყოს 1000 ლარი. ჯურყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების მრიცხველის მიერთებისთვის შესაბამისი სამსახურისთვის უნდა მოხდეს 1300 ლარის გადარიცხვა. ასევე აუცილებელი გახდა ბიუჯეტში შიდამონაცვლეობის განხორციელება - სხვადასხვა ომებსა და კომფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების მუხლის შემცირების ხარჯზე გაიზარდა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის დაფინანსება 2500 ლარით, ვინაიდან სამსახურს დაემატა სხვა ფუნქციების შესრულება, კერძოდ როგორც წვევამდებლების, ასევე რეზერვისტთა თბილისში შესაბამის კომისიებზე ჩაყვანა. გამგეობის ვალდებულების კლების მუხლი 4890 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4890 ლარით (ადმინისტრაციული შენობის ინტერნეტ ქსელის რეაბილიტაციისათვის). ასევე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 17 თებერვლის N3 დადგენილების შესაბამისად, ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურიას“- თვის გამოყოფილი 65 000 ლარის ასიგნების ფარგლებში მოხდა გასული წლების საბანკო ვალდებულების 58 302 ლარის დაფარვა, ხოლო მორჩენილი 6698 ლარი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაზე დეპუტატების მოსაზრების გათვალისწინებით, უნდა მიიმართოს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ წინა წლების დავალიანების დასაფარად. მისი თქმით, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 24 მარტის განკარგულების თანახმად, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისის ფართობების დამუშავებისთვის საჭირო მუშახელის შრომის ანაზღაურების დასაფინანსებლად მუნიციპალიტეტს გამოეყო 199 800 ლარი 1 998 ჰა თბილისის ფართობების დასამუშავებლად.

დეპუტატმა, **თეიმურაზ მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-დან საქართველოს მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების 4 კანდიდატია წარმოდგენილი, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა. მისი თქმით, იქნებ მოიძებნოს სხვა გზები, რათა აღნიშნული ა(ა)იპ-ისთვის დაფინანსების შემცირება არ მოხდეს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ**, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარადგენს ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მათვის ღირსეული გარემოს შექმნა. იგი დაინტერესდა, თუ კონკრეტულად რა ტიპის შემცირება იგეგმება ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტულ ცენტრში“. ასევე, მისი თქმით, ჭადრაკი არის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობა. „ჭადრაკის სახლის“ შენობის დაწვის შემდეგ, ბავშვებს სხვა შენობაში შეხიზნულეხს, რთულ პირობებში უწევთ მეცადინეობების ჩატარება. მისი განცხადებით, აუცილებელია დროულად მოხდეს მათთვის შესაბამისი შენობის გამონახვა.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილების აუცილებლობა შეუსაბამა კანონონის მოთხოვნებს. ეს არის არასწორი, ვინაიდან საკრებულოს წევრების გადასაწყვეტია, დაუჭერენ თუ არა მხარს წარმოდგენილ დოკუმენტს, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი სწორედ ამ დეპუტატების მხარდაჭერით დამტკიცდა. მისი თქმით, რომელიმე ადმინისტრაციულ

ერთეულში რაიმეს გაკეთების სანაცვლოდ დეპუტატებმა არ უნდა დაუჭირონ მხარი წარმოდგენილ დოკუმენტს. ეს თემა არ უნდა გახდეს ვაჭრობის საგანი და ვიწრო, კულუარულ წრეში, კაბინეტებში გადასაწყვეტი საკითხი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში შეტანილია ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სკვერის შესაღობად საჭირო მავთულბადისთვის გამოსაყოფი თანხა. მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით კაბინეტებში, კულუარულად არავის მიუღია გადაწყვეტილება და არავითარი სხვა შეთანხმება არ მომხდარა. ასეთი მიდგომა მის პიროვნულ თვისებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მისი ნათქვამი კონკრეტულად რომელიმე დეპუტატის მისამართით არ იყო გამოთქმული, არამედ ის შეეხო მხოლოდ საკითხისადმი არასწორ მიდგომას.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ აღნიშნული შემცირებები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იმთავითვე არ იყო სწორად დაგეგმილი. მისი თქმით, გამოითქვა მოსაზრება, რომ დეპუტატების გადასაწყვეტია, დაუჭერენ თუ არა მხარს მთავრობის მიერ რეკომენდირებულ შემცირებების განხორციელებას, რაც იმთავითვე არის არასწორი. მისი აზრით, როცა სხვადასხვანაირად განიხილავს ადგილობრივი თვითმართველობის და ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები ერთი და იგივე საკითხს, უპირატესობა ენიჭება ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტს.

საკრებულოს დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ 2016 წლის დეკემბრეში, როცა ამტკიცებდნენ 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს, მაშინ მან მხარი არ დაუჭირა მის მიღებას. მისი თქმით, სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ დეკემბრის თვეში დამტკიცებული ბიუჯეტის შემცირება მარტის თვეში ხდება.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ უკვე მეოთხე წელია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იგეგმება არასწორად. მისი თქმით 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების წინააღმდეგი მხოლოდ ხუთი დეპუტატი იყო, რომლებმაც საკმაოდ საფუძვლიანად არ დაუჭირეს მხარი ბიუჯეტს, 2015 წელს 19 დეპუტატი იყო მომხრე და შვიდი დეპუტატი წინააღმდეგი, 2016 წელს როცა მიღებულ იქნა 2017 წლის ბიუჯეტი ორმა დეპუტატმა გამოთქვა დასაბუთებული უარყოფითი დამოკიდებულება წარმოდგენილი ბიუჯეტის მიმართ, ხოლო ნაწილმა დეპუტატებმა პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა. საკრებულოში ქართული ოცნების, უმრავლესობის მიერ საბოლოოდ მაინც იქნა დამტკიცებული ისეთი სამარცხვინო ბიუჯეტი, როგორც არის მიღებული. რაზეც პასუხისმგებლობა უნდა გადაინაწილონ, როგორც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ასევე საკრებულოს დეპუტატებმაც, რომლებმაც მის დამტკიცებას მხარი დაუჭირეს.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვამემ** აღნიშნა, რომ როდესაც ხდებოდა მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ფორმირება, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი დასაფინანსებელი თანხების წინააღმდეგნი იყვნენ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები. მისი თქმით, როგორ შეიძლება ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები ითხოვდნენ წლის განმავლობაში 600 000 ლარით დაფინანსებას და საბოლოოდ დათანხმდნენ 350 000 ლარს. სწორედ, ამიტომ იყო საეჭვო მათ მიერ მოთხოვნილი თანხების ციფრების სისწორე. მან მიმართა სხდომაზე დამსწრე ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელებს, ეთანხმებიან თუ არა ისინი აღნიშნული შემცირებების განხორციელებას და არიან თუ არა შეთანხმებული მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთან ამ საკითხთან დაკავშირებით. თუ არ არიან შეთანხმებულნი, მაშინ გამობრძანდნენ და

თავად მოახსენონ საკრებულოს, რა პრობლემები შეექმნებათ აღნიშნული შემცირებების განხორციელებით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **კახა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან მტკივნეული თემა არის შემცირებების განხორციელება, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა მოხდეს. მისი თქმით, ა(ა)იპ -ის მიერ წარმოდგენილი პროექტები იმთავითვე არ იყო რეალური და ახლა ყველა ის ცვლილება, რომელსაც კანონი ავალდებულებს მუნიციპალიტეტს, უნდა განხორციელდეს.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურაგამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ა(ა)იპ -ის ხელმძღვანელებისთვის ყოველივე ამის გადაბრალება არის დიდი უსამართლობა.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ძალიან გულსატკეპია რაიმე სახის შემცირების განხორციელება, მაგრამ ეს არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებული გადაწყვეტილება, რომლის წინააღმდეგაც მუნიციპალიტეტი არ უნდა წავიდეს, რადგან ამით ისევ და ისევ მუნიციპალიტეტი დაზარალდება. როგორც ცნობილია, დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული დარბაზის მშენებლობა, ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტში ეს უხეშად არ უნდა ერეოდეს, ვინაიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თავისი შინაარსით უნდა იყოს დამოკიდებული და მასში უხეშად ჩარევის საშუალება მთავრობას არ უნდა ჰქონდეს.

საკრებულოს დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მთავრობის დადგენილებაში, რომელიც მუნიციპალიტეტს ავალდებულებს განახორციელონ აღნიშნული შემცირებები, ბოლო პუნქტში ნათლად წერია, თუ როგორ ემუქრება აღმასრულებელი ხელისუფლება ადგილობრივ თვითმმართველობებს, სადაც იგი პირდაპირ ავალდებულებს მუნიციპალიტეტებს 2016 წლის 90 %-იან საკასო შესრულებაზე დაიყვანონ ბიუჯეტი, თორემ არ გამოუყოფს თანხებს ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისის“ დირექტორის მოადგილემ, **ნუგზარ ცინცაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „ტექ-სერვისის“ შემადგენლობაში შედის სამი სამსახური, რომელშიც დასაქმებულია 48 თანამშრომელი. მისი თქმით, სამტატო ერთეულები გადატვირთული არ არის, აქედან გამომდინარე, სამსახურისთვის დაფინანსების შემცირება მართებული არაა და იგი ეწინააღმდეგება ამას.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ დირექტორმა, **გურამ იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“ არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ა(ა)იპ, რომლის ოთხი მოსწავლე საქართველოს მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრების წევრობის კანდიდატია, ასევე სულ ეხლახანს დიდი წარმატება მიაღწიეს მოჭადრაკეებმა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სამსახურისთვის დაფინანსების შემცირება ნეგატიურ გავლენას იქონიებს სპორტული მიღწევების თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** გააჟღერა წინადადება, რომ თუ იქნება დეპუტატებისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის მხრიდან მხარდაჭერა, შეიქმნას მუშა ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრისა“ და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ სერვისის“ საკითხებს, რათა ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ გამოიძებნოს სხვა რაიმე საშუალებები, რომ აღნიშნულ ა(ა)იპ -ში შემცირებები არ განხორციელდეს.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ წლის განმავლობაში, როცა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი შემოსავლები გაჩნდება, ა(ა)იპ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრის“ დაფინანსების გაზრდა შესაძლებელი იქნება.

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრი“-ის დაფინანსების შემცირება რაც შეიძლება მინიმალური ყოფილიყო. შეთანხმდნენ, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სპორტული ცენტრში“ დაფინანსების შემცირება 32 000 ათასი ლარის ნაცვლად 12 000 ლარით განხორციელდებოდა.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 23 დეპუტატი.**

**მომხრე: 16 დეპუტატი, წინააღმდეგი 6 დეპუტატი (გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა, ელგუჯა ჩხაიძე, ადამ ხუხუნაიშვილი, ომარ გოგიჩაიშვილი, ნონა მურვანიძე). კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ერთმა დეპუტატმა ( რომან ბიწაძე).**

**მიღებულ იქნა დადგენილება N11 (31.03. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობას 2017 წლის 13 თებერვალს N 227 წერილით მომართა სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს (ს/კ 433 642356) დირექტორმა, ქალბატონმა, ციცინო ჩხარტიშვილმა, სადაც დასმულია საკითხი ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობის და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 747 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ27.06.56.86) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გადაეცეს სარეაბილიტაციო დღის ცენტრ „იავნანა“-ს (ს/კ 433 642356) სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 747 კვ.მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ27.06.56.86)

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**მომხრე: 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N26 (31.03. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროსათვის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგებლის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურამ. მან აღნიშნა, რომ სამსახურს დაეწერა საქართველოს პარლამენტის წევრის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის ქალბატონ ნინო წილოსანის წერილი ლანჩხუთისა და ჩოხატაურის N60 მაჟორიტარული ოლქის ბიუროს ფუნქციონირებისათვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ლანჩხუთში, კოსტავას ქუჩა N 37-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 27.06.52.114) ორი ოთახის უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემის შესახებ. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული შენობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად ქონებას. ძირითადი ქონების გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მისი დაზიანების ან უვარგისობის შემთხვევაში. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ფუნქციონირებისათვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ერიცხებათ თვეში 5000 ლარი. იგი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი რომ იყოს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი, მუნიციპალიტეტი გამოუყოფდა თუ არა ადმინისტრაციულ შენობაში ფართს.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** განმარტა, რომ იგი წინააღმდეგი იყო ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულიყო წინა მოწვევის მაჟორიტარი პარლამენტარის ბიურო. რადგან ამის პრეცედენტი უკვე არსებობს, ამ მოცემულობაში აუცილებელია პოლიტიკური ეთიკის დაცვა და უარის თქმა უხერხულია. რაც შეეხება მის კანონიერ მხარეს, საკრებულოს თანხმობით ადმინისტრაციულ შენობაში

მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს განთავსება დასაშვებია, რადგან არ ხდება ფართის გაყიდვა, საუბარია მხოლოდ მის დროებით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 20 დეპუტატი.**

**მომხრე: 17 დეპუტატი, წინააღმდეგი 3 დეპუტატი ( გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა, ნონა მურვანიძე).**

**მიღებულ იქნა განკარგულება N27 (31.03. 2017 წელი).**

**დღის წესრიგის მერვე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, ლევან ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ სამსახური შედგება ორი განყოფილებისაგან: არქიტექტურის განყოფილება და საპროექტო განყოფილება, რომელიც შეიქმნა 2011 წლის აპრილის თვეში. არქიტექტურის განყოფილებაში დასაქმებულია 4 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან: ურბანიზაციისა და არქიტექტურის საკითხებით, მშენებლობის ნებართვებით, შეთანხმებებისა და ექსპლუატაციაში მიღების საკითხებით.

საპროექტო განყოფილებაში დასაქმებულია 5 თანამშრომელი, რომლებიც დაკავებული არიან მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ყველა სახის მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვის დამუშავებით. ასევე, განყოფილება მუშაობს ყველა სახის დასკვნებისა და დეფექტური აქტების მომზადებაზე, რომლებიც შეიცავს მოსახლეობიდან შემოსულ თხოვნებს, ასევე წარმოებული მშენებლობების მდგომარეობას.

არქიტექტურის განყოფილების მიერ 2016 წლის განმავლობაში გაცემულია მშენებლობის 21 ნებართვა, შეთანხმდა 17 პროექტი, ექსპლუატაციაში აყვანილ იქნა 11 ობიექტი. ამავე განყოფილებიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მოსაკრებლის სახით შემოვიდა 6559,7 (ექვსიათასხუთასორმოცდაცხრამეტი და შვიდი) ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახური ასევე აწარმოებს მოსახლეობიდან შემოსული თხოვნა-განცხადებების აღრიცხვას, კონტროლსა და მათზე რეაგირების საქმეს. 2016 წელს აღნიშნულ სამსახურში მოსახლეობიდან შემოვიდა 610 განცხადება, რომელთაგან მომზადდა 544 დასკვნა. დამუშავების სტადიაშია 64 განცხადება. რაც შეეხება საპროექტო განყოფილებას, 2016 წლის განმავლობაში დაპროექტებული აქვს 257 ობიექტი, საერთო ღირებულებით 7 882301 (შვიდი მილიონ რვაასოთხმეცდაორიათას სამასერთი) ლარი. ამათგან:

1) „სოფლის მხარდამჭერი პროგრამით“ 167 პროექტი- ღირებულებით 898 748 ლარი.

2) სტიქიის შედეგად დაზიანებული ოქბიექტების 56 პროექტი - 1 050 000 ლარი.

3) სხვადასხვა პროგრამებით გათვალისწინებული 10 პროექტი- ღირებულებით 91 557 ლარი.



4)2016 წელს ინფრასტრუქტურით გათვალისწინებული ობიექტების 24 პროექტი-ღირებულებით 5 841 996 ლარი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვამემ აღნიშნა, რომ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ბოლოს სამი წლის მანძილზე ყველაზე მცირე რაოდენობის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რაც მოსახლეობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

საკრებულოს მიერ ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

**დღის წესრიგის მეცხრე საკითხზე:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა გამგეობის შიდა სამსახურის უფროსმა, გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს ძირითადი ამოცანებიდან, ფუნქციებიდან გამომდინარე უფლებამოსილებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

სამსახურის მიერ შემოწმებული იქნა გამგეობის ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, „სოფლის განვითარების პროგრამისა“ და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესაბამისად ჩატარებული კრების ოქმების შესწავლით დადგინდა, რომ მოსახლეობის ჩართულობა ძალზე დაბალია, სულ კრების მუშაობაში მთელ რაიონში 1147 კაცი მონაწილეობდა, რაც მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 3,4 %-ს შეადგენს.

2015 წელს რეგიონალური განვითარების ფონდით ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯულია 3 844 718 ლარი, მათ შორის ბაგა-ბაღების მშენებლობაზე 895 850 ლარი, მთლიანი თანხის 23,3%-ი. შესრულებული სამუშაოებიდან გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების შეკეთებაზე დახარჯული 33 054 ლარი წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს #1750 განკარგულებასთან „რეგიონალური განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შესახებ.“ კერძოდ, მუხლი 17 კ1 პუნქტით დაფინანსებული პროექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა იყოს 50 000 ლარზე ნაკლები. ამ პროექტისათვის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სამუშაოები შესრულებულია დამაკმაყოფილებლად ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მცირე გამოწვევის გარდა. მაჩხავარეთის და აკეთის ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები თანხით 400 950 ლარი, რომელსაც აწარმოებდა შპს „ხურო“ ხელშეკრულება #219 სამუშაოები 29 სექტემბრის ნაცვლად 6 ოქტომბერს დამთავრდა, რისთვისაც დაჯარიმდა 13 დღეზე 208,07 ლარით. ქ. ლანჩხუთის წმ. ნინოს და დუმბაძის ქუჩებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე მოწყობაზე (ხელშეკრულება #213 ) დაჯარიმდა 7 დღეზე 105,94 ლარით. შესრულებულ სამუშაოთა უმრავლესობაზე ჩატარებულია საექსპორტო დასკვნები. შემოწმებულ იქნა შპს „საფეხბურთო კლუბი გურია 2000“. სფეხბურთო ორგანიზაციაში არ არის სწორად დაგეგმილი წლის ბიუჯეტი, 2014 წელს გამოყოფილი 105 000 ლარი, რომელიც მთელ წელზე იყო გათვლილი, ნოემბერში მთლიანად იყო ამოწურული, სახელფასო ფონდიდან თანხა გადატანილი აქვთ ავეჯის შესაძენად, ლოჟის მოასაწყობად, ისე რომ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილება არ განხორციელებულა. ცალკე აღსანიშნავია, რომ შპს „საფეხბურთო კლუბი გურია 2000“- ამ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე კლუბ

ლანჩხუთის „გურია“-ს ასესხა 3000 ლარი, ამ თანხის ნაწილი 1759 ლარი დაბრუნებული იქნა, 1241 ლარი კი დღესაც დავალიანებად ირიცხება. მიუხედავად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 4 სექტემბრის #286 ბრძანებით შპს „საფეხბურთო კლუბ გურია 2000“-ზე რიცხული ქონება, არასასოფლო - სამეურნეო მიწისა და სხვადასხვა ქონების საწესდებო კაპიტალიდან ამოღებასა და ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიასათვის“ გადაცემის თაობაზე არ არის აღსრულებული, რადგანაც შესაბამისი დოკუმენტები საჯარო რეესტრში არ იქნა წარდგენილი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საფეხბურთო სკოლაში“ ჩატარებული აუდიტორული შემოწმებით აღმოჩნდა, რომ უხარისხოდაა ნაწარმოები საბუღალტრო საბუთები, არ ხდება მომსახურებებზე მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები, ადგილი აქვს ხარჯების მუხლებში თანხების გადანაცვლებას ისე, რომ ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები არ განხორციელებულა. მივლინებების შედგენისას ბრძანებები შედგენილია არასწორად, ხშირ შემთხვევაში არ არის დანომრილი, მივლინების ფორმები შევსებულია უხარისხოდ, რიგ შემთხვევაში გაანგარიშებაც არასწორად არის ნაწარმოები. დაუგეგმავად აქვთ შეძენილი 01.08.2014 წელს 800 ლარის საჩუქარი, რაზედაც არ არის დაკავებული საშემოსავლო გადასახადი.

ასევე, შესყიდვების გეგმის გარეშე აქვთ შეძენილი 231 ლარის მედლები, რომლებიც ვის ან როდის გადაეცა, არა არის დაფიქსირებული.

2014 წლის 20 ნოემბერს შედგენილია სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც საფეხბურთო სკოლამ „ლანჩხუთის გურიას“ სესხის სახით გადასცა 2000 ლარი.

2015 წელს სამი თვის დეკლარაცია საერთოდ არ არის ჩაბარებული, ხოლო დანარჩენ თვეებზე წარდგენილი აქვთ ნულოვანი დარიცხვა. ა(ა)იპ ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლაში შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამო სკოლის დირექტორს, სულხან წილოსანს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, მასვე დაევალა შესაბამისი ზომების მიღება მთ. ბუღალტრის კ.დოლიძის მიმართ. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „გოგონათა ექსპერიმენტალურ სარაგბო-საფეხბურთო სკოლა“-ში გამოვლენილი იქნა რიგი ნაკლოვანებები. ხელშეკრულებების თანახმად, მძღოლები თავიანთ სატრანსპორტო საშუალებებით უწყვენ მომსახურებას სკოლას, მაგრამ წარმოდგენილ საბუთებზე არ არის დაფიქსირებული გარბენილი კილომეტრობა. არ არის ბრძანებები დაწერილი, თუ რის საფუძველზე განხორციელდა ესა თუ ის მომსახურება, ადგილი აქვს მივლინებისა და ტრანსპორტის თანხების დაგვიანებით ჩარიცხვას. არ ხდება შეძენილი სპორტული ინვენტარის აღრიცხვა. ასევე არ არის დაფიქსირებული ვის ან როდის გადაეცა სკოლის მიერ შეძენილი წიგნები, თასები და მედლები. ა(ა)იპ „საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი“-ის შემოწმებით აღმოჩნდა, რომ ადგილი აქვს ხელშეკრულების გაფორმებამდე აღნიშნულ მომსახურებაზე ს/ზედნადების წარმოდგენას. ადგილი აქვს თანხების ავანსად ჩარიცხვას მიმწოდებლის მიერ ა./ფაქტურის წარმოდგენამდე. შპს „მეტრომატ“-ს ს/ზედნადები წარმოდგენილი ააქვს 10.03.2014 წელს, მომსახურების თანხა კი ჩარიცხულია 07.03.2014 წელს.

დარღვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები, რაზედაც არ არის განხორციელებული საჯარიმო სანქცია. ხელშეკრულება #36 შედგენილია 14.07.2014 წელს ი/მეწარმე გ.პატარაიასთან ტრანსპორტის მომსახურებაზე 21.07.2014 წლის ჩათვლით. აღნიშნულ მომსახურებაზე ინვოისი 23.07.2014 წელს არის წარმოდგენილი. შესრულებული სამუშაოს აქტივ 23.07.2014 წელს არის შედგენილი. ხელშეკრულების 9.2 მუხლის მიხედვით „მიმწოდებელ“-ს უნდა დაკისროდა პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით გადაცილებულ დღეებზე, რაც არ არის გაკეთებული. საწვავის ჩამოწერისას საგზაო

ფურცლებში არ არის აღნიშნული მგზავრობის მიზნობრიობა, გასვლის ადგილი, დანიშნულების ადგილი.

2015 წლის 30 დეკემბრს დადებული # 5,6,7,8,9 ხელშეკრულებების თანახმად სამგზავრო გადაზიდვის მარშრუტის შემსრულებლების ქირის შემოტანის ვადა ყოველი თვის 28 რიცხვია. დარღვეულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტი, რომლის თანახმად ( ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის ) შემსრულებელი უხდის დამკვეთს ჯარიმის სახით, თვიური საიჯარო ქირის 0,1% -ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღისთვის, რაც არ არის განხორციელებული. ხელშეკრულებების თანახმად 2016 წლის ხუთ თვეში მომსახურეობის თანხა 3150 ლარის ნაცვლად შემოტანილია 3000 ლარი, 150 ლარით ნაკლები. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების“ შემოწმებით სერიოზული დარღვევები იქნა აღმოჩენილი.

დარღვევებია ტრანსპორტით მომსახურეობის საქმეში, ადგილი აქვს მიმოსვლის მანძილის ხელოვნურად გაზრდას.

სტუმრების მომსახურეობის რიგ შემთხვევაში ი/მეწარმეებიდან წარმოდგენილ ინვოისებში და არც ინსპექტირების დასკვნებში არ დგინდება „მიმწოდებლის“ მიერ შერულებული ვალდებულებების აღწერა, თუ რამდენ ადამიანს გაეწია მომსახურება. არ ხდება შეძენილი საქონლის საწყობზე აყვანა და შემდგომ მისი ჩამოწერა.

მასიური ხასიათი აქვს ხელფასების ავანსად გაცემის ფაქტებს, ყოველგვარი განცხადების და დირექტორის რეზოლუციის გარეშე. არასწორად არის ნაწარმოები საბუღალტრო საბუთები, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ადგილი აქვს თვეების მიხედვით მომსახურების მუხლებში გადახარჯვას, რაც წლის განმავლობაში გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს არ ემთხვევა. შემოწმების დროისთვის მიუხედავად არაერთი სიტყვიერი, წერილობითი მოთხოვნისა, არ მოხერხდა საქართველოს ბანკიდან ( ტაო პრივატ ბანკის ) ამონაწერის მოტანა, რაც გარკვეულ ეჭვს იწვევს. დანაშაულის ნიშნის შემცველია ცენტრის საფინანსო განყოფილების უფროსის, გიორგი ჩხაიძის მიერ მის პირად ანგარიშზე რეგულარულად ჩარიცხული „საქვეანგარიშო“ მოტივით თანხები დირექტორის რეზოლუციისა და ბრძანებების გარეშე, სულ ჩარიცხული აქვს 11275 ლარი, აქედან ოქტომბრის თვეში დაბრუნებული აქვს 1900 ლარი, დეკემბრის თვეში 466 ლარი, ნაშთად 2015 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება 4744 ლარი. აღნიშნული თანხა არ აქვს ასახული წლიურ ბალანსში. საშემოსავლოსა და განაცემთა ინფორმაციის ბაზაში ნულოვანი დეკლარაციის წარდგენამ, მისი შემდგომ პერიოდშიც არ დაზუსტებამ გამოიწვია საშემოსავლო თანხების ზედმეტობა. 2015 წლის 01 იანვრისათვის ზედმეტად გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 4508,42 ლარი, რაც ასევე არ აქვს ასახული წლიურ ბალანსში.

2015 წლის შემოსულობების, გადასახადების შესრულების ანგარიშის ფორმაში, რომელიც წარდგენილი აქვს საფინანსო განყოფილებაში, ხელფასის სახით განაცემი შეადგენს 849 600 ლარს, აუდიტის სამსახურში წარმოდგენილ ფორმაში 831 762 ლარს, ხოლო დეკლარაციით წარდგენილი აქვს 812 003 ლარი, სწორედ ასეთი უზუსტობები და საქმისადმი არაკეთილსინდისიერი მიდგომა იყო მიზეზი საშემოსავლოსა და განაცემთა ინფორმაციის ბაზაში ნულოვანი დეკლარაციის წარდგენისა. ასევე არასწორად აქვს ასახული ბალანსში ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება 511 957 ლარი, ნაცვლად რეალურად არსებული 492 007,33 ლარისა. მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში საშემოსავლო დეკლარაცია საერთოდ არ აქვს წარდგენილი, რამაც გამოიწვია ა(ა)იპ „კულტურულ დაწესებულებათა გაერთიანების“ დაჯარიმება 1490,38 ლარით. 01.09.2016 წლის მდგომარეობით გაერთიანებაში 156 შტატიანი და 164 ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომელია, რაც აუცილებლად არის გადასახედი. შიდა აუდიტის სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა შემოწმების მასალების გურიის სამხარეო

პროკურატურაში გადაგზავნა. ცნობად იქნა მიღებული, რომ ა(ა)იპ ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა საგემო-საფინანსო განყოფილების უფროსი, გიორგი ჩხაიძე.

შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ შესწავლილი იქნა სხვადასხვა სახის განცხადება, რაზედაც მოხდენილ იქნა შესაბამისი რეაგირება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ გამოუყო 1 250 000 ლარი, საიდანაც კლუბის დავალიანებები უნდა გასტუმრებულიყო. როგორც კლუბის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, დავალიანება ამ მომენტისათვის შეადგენს დაახლოებით 750 000 ლარს. იგი დაინტერესდა, გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურმა შეამოწმა თუ არა საფეხბურთო კლუბი, დაადგინა თუ არა რელურად რამდენია დავალიანება, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელია. ამასთან, რამდენად კანონიერია, რომ ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაუკითხავად საკრედიტო ვალდებულებები აიღოს.

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყებამ** განმარტა, რომ ა(ა)იპ არის ისეთი საჯარო იურიდიულ სუბიექტი, რომელმაც უნდა იმოქმედოს წინასწარ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში და არავითარი სხვა საკრედიტო ვალდებულებები არ უნდა გააჩნდეს.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის შიდა აუდიტის მიერ წარმოდგენილი დასკვნების შესაბამისად, გამოვლინდა ძალიან სერიოზული დანაშაულებები. იგი დაინტერესდა, აკეთებს თუ არა რეაგირებას მუნიციპალიტეტის გამგეობა და აღნიშნულ აუდიტორულ დასკვნებს უგზავნის თუ არა შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ აუდიტორული დასკვნებში, სადაც გამოიკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები და იგი სცილდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებს, მსგავსი სააკითხები მყისიერად გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

დეპუტატმა **ნონა მურვანიძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელმა საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრმა“ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ ასესხა თანხა ისე, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულო საქმის კურსში არავის ჩაუყენებია. იგი დაინტერესდა, წარმოადგენს თუ არა აღნიშნული ფაქტი სერიოზულ კანონდარღვევას.

გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა, **გიორგი ნაჭყებამ** განმარტა, რომ ა(ა)იპ -ის მხრიდან ეს ქმედება არ არის სწორი. ნებისმიერი ა(ა)იპ უნდა ჩაეტიოს იმ ფულად სახსრებში, რა თანხებიც იქნება გათვალისწინებული მათთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

გამგებალმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ თანხის სესხების თაობაზე ის საქმის კურსში არავის ჩაუყენებია.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძის** აზრით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ ა(ა)იპ -ბი არღვევენ ერთ მთავარ წესს - მათ წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი აქვთ სათანადო ფინანსები. ისინი უნდა ჩაეტიონ აღნიშნულ პარამეტრებში და საკრედიტო ვალდებულებები არ უნდა დაიმატონ, ეს არის აქსიომა. მუნიციპალიტეტის გამგებელი ამას ან ვერ ხედავს, ან არ უნდა, რომ დაინახოს. უფრო მეტიც, ერთ-ერთი ა(ა)იპ -ის ხელმძღვანელი სხვა ა(ა)იპ -ში წლების განმავლობაში მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე იყო გაფორმებული, რომელიც გახლავთ ძალიან მძიმე კანონდარღვევა.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მას კარგად ახსოვს გამგებლის, ზაზა ურუშაძის განცხადება ყოფილი ბაღების ხელმძღვანელის მისამართით, რომელიც საბოლოოდ თანამდებობიდან გათავისუფლდა.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ ქრთამის აღებასა და ფულის სესხებას შორის დიდი განსხვავება არის.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ორივე ფაქტი წარმოადგენს კანონდაღვევას, პირველ შემთხვევას მექრთამეობა, ხოლო მეორე შემთხვევას - კორუფცია ქვია.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** კითხვით მიმართა დეპუტატ კახაბერ ასკურავას - 10 000 ლარის სესხება არის კანონდარღვევა და მთავრობის განკარგულების გარეშე ნახევარი მილიონი ლარის სესხება არის თუ არა სამართალდარღვევა, რომელიც მისი გამგებლის მოვალეობის შესრულებლის პერიოდში მოხდა.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი შეთანხმებული იყო ლანჩხუთის მაჟორიტარ დეპუტატთან, ვიცე - პრემიერ, კახი კალაძესთან და გურიის ე.წ „რუხ კარდინალთან“ ილა კეჭახმაძესთან. მან ამ გადაწყვეტილებას ხელი მოაწერა მხოლოდ ერთი გარემოების გათვალისწინებით, რადგან თავისი ხელმძღვანელობის პერიოდში საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“ არ გავარდნილიყო და ადგილი შეენარჩუნებინა ლიგაში. აღნიშნული საკითხი საფუძვლიანად შეისწავლა სუს-მა , რომელშიც მისი ბრალეულობა არ გამოვლინდა.

**საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.**

**დღის წესრიგის მეათე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეორე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბესიკ ტაბიძემ.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 19 დეპუტატი.**

**მომხრე: 19 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N28 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრე სარიშვილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, წარმოდგენილია სააკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნა, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის თაობაზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ დამოუკიდებელმა აუდიტმა უნდა ჩაატაროს აუდიტორული შემოწმება და ამაში მუნიციპალიტეტმა ფული უნდა გადაიხადოს. თანხის ოდენობა კი დამოკიდებული უნდა იყოს იმ კითხვარებზე, რასაც განუსაზღვრავს მუნიციპალიტეტი. მისი თქმით, აღნიშნული კითხვარების შემუშავებაში იგი აუცილებლად უნდა იყოს ჩართული.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** ასევე მოითხოვა, მასაც მიეცეს საშუალება ჩაერთოს კითხვარების შემუშავების პროცესში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს. კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N29 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობას, რომელიც ნაცვლად 5-სა უნდა განისაზღვროს 4 ერთეულით. ვინაიდან, საორგანიზაციო განყოფილების გამართულად მუშაობისთვის სრულიად საკმარისია 4 მთავარი სპეციალისტი.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N30 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეცამეტე საკითხზე:** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N 7 დადგენილების დანართის მე-3-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში არის შეცდომა. კერძოდ დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულება 2 პროცენტის ნაცვლად შეადგენს 0.2 პროცენტს.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა განკარგულება N31 (31.03.2017 წელი).**

**დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხზე:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2017 წელს გასახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 28 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა, გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა ლევან ჩხაიძემ.

დეპუტატმა ადამ ხუბუნაიშვილმა აღნიშნა, რომ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა ნამდვილად თვალშისაცემი და დასაფასებელია. მან მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის

აღმასრულებელ ხელისუფლებას ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაშისღელეში ხიდის გაკეთებისთვის. მან იქვე აღნიშნა, რომ ჭადრაკის შენობის დაწვის შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობა ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ დარჩა. მეცადინეობები ინდივიდუალურად, მოსწავლეების სახლებში ტარდება. მისი თქმით, აუცილებელია მოიძებნოს ალტერნატიული შენობა სადაც ნორმალურ ვითარებაში წარიმართება სასწავლო პროცესი.

გამგებალმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, რომ მუნიციპალიტეტს მაქსიმუმ წელიწად ნახევარში ექნება ულტრა თანამედროვე სპორტის დარბაზი, რომლის პროექტშიც გათვალისწინებულია საჭადრაკო დარბაზები. მისი თქმით, ამ ეტაპზე უმჯობესია ჭადრაკისთვის მუნიციპალიტეტმა იქირაოს შესაბამისი შენობა, ხოლო სპორტული დარბაზის დასრულების შემდეგ ჭადრაკის შენობის პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს ყოფილი რედაქციის შენობა, რომელშიც გაზეთი „ლანჩხუთის მოამბე“ არის განთავსებული იმ ფონზე, როცა მოჭადრაკე ბავშვები ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ არიან დარჩენილნი. მისი თქმით აღნიშნულ შენობაში უნდა მოხდეს ჭადრაკის სახლის განთავსება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ეს საკითხი არაერთხელ დაუყენებია მას, მაგრამ გამგეობის ვერც ერთი სამსახურისგან დამაჯერებელი პასუხი ვერ მიიღო. მისი თქმით, როდესაც კერძო აუდიტი დაიწყებს კონკრეტული სუბიექტების შემოწმებას, ის პირადად მიუთითებს, რომ საფუძვლიანად შეისწავლონ აღნიშნული საკითხი, დაადგინონ იფლანგება და ნადგურდება თუ არა მუნიციპალური ქონება.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ შენობიდან გაუშვა ბეჭდური მედია, როგორი სარედაქციო პოლიტიკაც არ უნდა ჰქონდეს მას, არის დაუშვებელი, ვინაიდან ეს გამოიწვევს გაზეთის დახურვას. მას უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მოძებნოს სხვა ალტერნატიული ფართი, სადაც განთავსდება ბეჭდური მედია - საშუალება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ეს ნამდვილად არ იქნება ბეჭდური მედიის დისკრედიტაცია, ვინაიდან უკვე მერამდენე წელია ამ თემაზე მიდის საუბრები. მისი თქმით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვა გაზეთებიც, რომლებიც ქირაობენ და იხდიან ყველა გადასახადს. გამოდის, რომ ერთი ბეჭდური მედია -საშუალება სასათბურე პირობებშია მოქცეული, ხოლო სხვა ბეჭდური საშუალებები სხვა მოცემულობაში არიან.

დეპუტატმა **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე სკვერში შესრულებული სამუშაოების ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. კერძოდ დაგებული ფილები უკვე მორყეული და ზოგ ადგილებში ამოცვენილია. იგი დაინტერესდა, სამუშაოების შემსრულებელი კომპანიისგან მუნიციპალიტეტს აქვს თუ არა ჩაბარებული აღნიშნული ობიექტი.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული ობიექტის ჩაბარება ჯერჯერობით არ მომხდარა. სატვირთო ავტომობილის გადაადგილებამ გამოიწვია ფილების რამოდენიმე ადგილას მორყევა, რაც მისი თქმით უკვე გამოსწორებულია.



საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარემ **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის სუფსის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოსული იყო რამდენიმე განცხადება(ლევან შანიძის ხიდის აღდგენა, ახალსოფელიდან ბესო ჩხარტიშვილის განცხადება, რომელსაც 25 მაცხოვრებელ აწერს ხელს - ითხოვდნენ ხიდისა და გზის გაკეთებას). მათგან არც ერთი არ არის დაკმაყოფილებული.

გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსმა, **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ სტიქიის დროს განცხადება უნდა დაიწეროს არა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის მისამართით, არამედ უნდა მიემართოს სტიქიის სალიკვიდაციოდ შექნილ სპეციალურ კომისიას. მისი თქმით, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულიდან შემოსული იყო მხოლოდ ერთი განცხადება, რომელიც დაკმაყოფილებულია.

საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ 2015 წლის 28 აგვისტოს საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სამწლიანი გეგმა, სადაც 220 000 ლარი არის გათვალისწინებული ახალსოფლის ბაღისთვის, რომელიც 2016 წელში უნდა აშენებულიყო. სუფსის ადმინისტრაციულ ცენტრი სანახევროდ არის კეთილმოწყობილი. სუფსის ადმინისტრაციული ერთეული არის სიდიდით მეორე, ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეულის შემდეგ. გაკეთებული ინფრასტრუქტურული პროექტები კი არ არის მისი მასშტაბის პროპორციული. ასევე, მან აღნიშნა, რომ გრიგოლეთის საწვრთელი ბაზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში არ უნდა მიეთვალოს.

გამგებელმა **ზაზა ურუშაძემ** განმარტა, ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელობისგან მიიღო თანხმობა, რომ გრიგოლეთის საწვრთნელ ბაზაზე განხორციელებული სამუშაოები სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილ თანხაში არ ჩაითვლებოდა და არც ჩაითვალა.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.**

**კენჭისყრას ესწრებოდა 21 დეპუტატი.**

**მომხრე: 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.**

**მიღებულ იქნა დადგენილება N32 (31.03.2017 წელი).**

**სხვადასხვა:**

**დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ევროპარლამენტის მიერ საქართველოსთვის ვიზა ლიბერალიზაციის მიღებამ საშუალება მისცა საქართველოს მოქალაქეებს მნიშვნელოვნად შეღავათიან ფასებში კოპიტნარის აეროპორტიდან იმოგზაურონ და თავისუფლად გადაადგილდნენ შენგენის ზონის 30 ქვეყანაში. მან ინიციატივა დააყენა საკრებულოს სხდომაზე, რომ მუნიციპალიტეტმა, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაჟორიტარი პარლამენტის წევრმა - ნინო წილოსანმა, ასევე ფოთის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ირაკლი ხახუბიამ (რომელმაც საპარლამენტო არჩევნებზე სუფსის და ღრმაღელის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ხმები მიიღო) ერთობლივად იმუშაონ საკითხზე, რომელიც მუნიციპალიტეტში წარმატებულ ახალგაზრდებს (კატეგორია არ არის დაკონკრეტებული, ეს საკითხის განხილვის დროს დადგინდება) დაუფინანსებს ევროპის ქვეყნებში მოგზაურობას.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მხარი დაუჭირა წამოყენებულ ინიციატივას.

**ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო